საჯარო სამართლის იურიდიული პირის
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
THE FIRST UNIVERSITY CLINIC
OF TBILISI STATE MEDICAL UNIVERSITY

0141, გუდამაყრის ქ.4, თბილისი, საქართველო
Gudamakari str 4, Tbilisi, Georgia 0141
ტელ: 032 261 01 01; Tel: 032 261 01 01
E-mail: firstclinictsmu@gmail.com

№ 10/402

05 03 2020 წ.

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს"
თავმჯდომარეს
ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 29 თებერვალს საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შედგა შეხვედრა, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდა სსიპ თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი. შეხვედრაზე განხილულ იქნა ჩვენს ქვეყანაში ახალი კორონავირუსის COVID-19–ის გავრცელებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა, ასევე პრევენციული და ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული სხვა ტიპის ღონისძიებები.

განხილვის შედეგად სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას დაევალა 70–80 საწოლის, მათ შორის 10 რეანიმაციული საწოლის დამატება. აღნიშნული მითითების შესრულება, თავის მხრივ, მოითხოვს დაწესებულების სივრცის შიდა რეკონსტრუქციას, რათა მოხდეს კორონავირუსით დაინფიცირებული ან/და სავარაუდოდ ინფიცირებული პეციენტების იზოლაცია სხვა პაციენტებისგან, ასევე გარკვეული რაოდენობის სამედიცინო საგნების, მასალების, აპარატურის, მედიკამენტების მარაგის დამატებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1 მარტს შედგა შეხვედრა საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან, რომლის სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შესაძენი მასალების და აპარატურის

მოცულობიდან გამომდინარე, შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროსთვის 2 მარტს გაგზავნილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე განსაზღვრული ჩამონათვალის გათვალისწინებით.

გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმება ვერ მოხერხდა, საკითხის ოპერატიულობიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამედიცინო მოწყობილობების, ფარმაცევტული პროდუქტების და სახარჯი მასალების შესყიდვა ხორციელდება მიმწოდებლებთან არსებული მარაგის გათვალისწინებით.

არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულების შეუფერხებელი მუშაობისთვის და პაციენტების სიცოცხლისთვის საფრთხის შემქნელი შედეგების თავიდან ასაცილებლად, სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შესყიდვის პროცედურების დაწყების შესახებ.

მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, დადგენილ იქნა ხელოვნური სუნთქვის აპარატის, დამატებითი ამოსუნთქვის სარქველის ნაკრებით შესასყიდი გონივრული რაოდენობა და 2020 წლის 4 მარტს გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2/39-პ20 ხელშეკრულება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამავე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, შეითანხმოთ გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სსიპ თსსუ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი
პროფესორი

ლევან რატიანი

Tbilisi State Medical University

Digitally signed by Tbilisi State Medical University
Date: 2020.03.05 17:52:42 +04'00'